



იმისთანა წმინდა საძმომი, ბოგობილ ბუქდ-  
უბი სიფყვას, ცუდიღობით და ჭებობით ბუბ-  
თის გაცანა ყულა უჯადისებბაჟ უსაბაგლსია.



გაგონის 1918 წლის  
25 ივლისიდან

# რესპუბლიკა

ორშაბათი, 18 მაისი. 2020 წ. №64 (8990) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

## „ვივიღა გადაწყვეტილება, გამოვსა უბულავას და ოქრუაშვილის შეწყალების აქტი“



სანამ მათი შეწყალება კა-  
ლაში შივა, მიწა მივმართო  
საზოგადოებას, რომლისთვის-  
საც დღევანდელი ჩემი გა-  
დაწყვეტილება იოლი გასა-  
გები ვერ იქნება და შესაძ-  
ლოა, ვერც მიახლოვს.  
სანამ ჩემი, ამ ურთულე-  
ნი გადაწყვეტილების მი-  
ზეზს ავხსნი, შეწყალების  
არსი, კიდევ ერთხელ, ყველას  
გასაგებად უნდა განვმართო:

1. არ ვინალებ პოლიტიკატიმრებს, რამეთუ ჩე-  
მი სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ  
საქართველოში დღეს არ არსებობენ პოლიტიკა-  
ტიმრები.  
ზვიადის და მერაბის შემდეგ, და წინა ხე-  
ლისუფლების მიერ ასეულობით პოლიტიკატიმ-  
რით ციხეების გადაცემის მაგივრად, დღეს სა-  
ბედნიეროდ ვცხოვრობთ დემოკრატიულ საქარ-  
თველოში...  
გასაგები რომ იყოს, დავამატებ – პოლიტი-  
კოსი, რომელიც ციხეში იხდის სასჯელს, მძიმე  
და ყველასთვის ცნობილი სისხლის სამართლის  
დანაშაულის ჩადენისთვის, პოლიტიკატიმარი არ  
ენოდება, იგი მხოლოდ და მხოლოდ დამნაშავე  
პოლიტიკოსია. ამ თემით სპეკულირება ემსახუ-  
რება ქვეყნის დისკრედიტაციას, ამდენად, სრუ-  
ლიად მიუღებელია და უნდა დასრულდეს!  
2. არ ვინალებ უდანაშაულო ადამიანებს.  
შენალება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს სა-  
სამართლო განაჩენის გადასინჯვას ან გადაფა-  
სებას. დამნაშავე რჩება დამნაშავედ, სასჯელის-  
გან თავისუფლება და არა დანაშაულისგან. ანუ  
შენალება არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს  
დამნაშავის გამართლებას!

3. არავის, არც მანამდე, და არც ახლა არ  
ვინალებ სხვათა თხოვნით, კარნახით, ზენოლით,  
მუქარით, რეკომენდაციით, შიშით... და ეს უკ-  
ვე არაერთხელ დავამტკიცე!  
პრეზიდენტის ამ ექსკლუზიურ უფლებამო-  
სილებაზე, „უნდათი“ არავინ არ უნდა საუბრობ-  
დეს!  
მითუმეტეს, არ ვინალებ ჩემს გარეშე მიღ-  
წეული შეთანხმების საფუძველზე, რომელშიც  
არც მონაწილეობა მიმიღია და არც ინფორმი-  
რებული ვყოფილვარ. თუმცა არაერთხელ შევ-  
თავაზე მხარეებს საპრეზიდენტო პლატფორმის  
გამოყენება. მიმაჩნია, რომ პოლიტიკური შეც-  
დომაა დამნაშავეების ბედი პირდაპირ თუ ირი-  
ბად განიხილებოდეს თუნდაც საკონსტიტუციო  
თუ საარჩევნო შეთანხმების ფარგლებში.  
4. ეს შეწყალება არ ეფუძნება ჩვეულები-  
სამებრ ჰუმანურ პრინციპებს ან ფაქტობრივ  
გარემოებებს, რომლის გამო შესაძლოა ადა-  
მიანს შეუმსუბუქდეს სასჯელი, ან სრულად გა-  
უუქმდეს.

იხ. 2 გვ.

## რა ღირს სახელმწიფოს ღირსება - 500 მილიონი ევრო? 2

## პრეზიდენტის „შერიგების“ მანდილი - როგორაა პარტიამ მოიგო ამით?! 3



## „ბიბლიური უიგულის“ მოლოდინები 4

### ოკუპირებულ აფხაზეთს რუსებმა დაბა აიბლას წაართვეს! 8

## ერთიანი ეროვნული გამოსვლი ერთიანი ეროვნული სისულელა! 11

### „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი ღავთრის“ დაუპიწყარი მკვლეპარი 6

### ილია მეორე: სადას ჭეშმარიტი სრწმუნოება, იმ სიხარული და სიყვარულია

„ჩვენ ვლოცულობთ, რომ ჩვენი ოჯახები მტკიცე იყოს, ქრისტიანული იყოს, მორწმუნე იყოს, სადაც სარწმუნოებაა ჭეშმარიტი, იქ სიხარული და სიყვარულია“, – ამის შესახებ გუშინ განაცხადა სამების საკათედრო ტაძარში საზეიმო წირვის დასრულების შემდეგ ქადაგებისას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ილია მეორემ.

„ერთი კვირა გრძელდებოდა დღესასწაული, რაც საქართველოში ნილსვედრია ღვთისმშობლისა და ერთი კვირის განმავლობაში ჩვენ შევთხოვდით ღვთისმშობელ დედას, რომ წყალობა მოელო საქართველოსთვის. დღეს არის ოჯახის სიმტკიცის დღესასწაული. ჩვენ ვლოცულობთ, რომ ჩვენი ოჯახები მტკიცე იყოს, ქრისტიანული იყოს, მორწმუნე იყოს, სადაც სარწმუნოებაა ჭეშმარიტი, იქ სიხარულია, იქ სიყვარულია“, – ბრძანა პატრიარქმა.

„დღეს მთელი საქართველო ქრისტიანია. ჩვენ ვმადლობთ უფალს, ვმადლობთ წმინდა სამებას. წმინდა სამებამ ააშენა ეს წმინდა ტაძარი. წმინდა სამებამ დაამტკიცა ქართველი ხალხი... მე მიწადა, მოგილოცოთ ეს დალოცვილი დღე. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ვერავითარი უარყოფითი ძალა ვერ სძლევს საქართველოს სიყვარულსა და სიხარულს. საქართველო მტკიცედ იდგება მართლმადიდებელ სარწმუნოებაზე, ეს ჩვენი ბედია, ეს ჩვენი ჯილდოა. ღვთის ჯილდოა, რომ საქართველო იყოს მართლმადიდებელი. დალოცვილი იყავით. გაიხარეთ“, – განაცხადა ილია მეორემ. პატრიარქის კურთხევით სასულიერო პირებმა ხატები და ნაკურთხი წყლის სხურებით შემოიარეს თბილისის ქუჩები და დალოცეს მოსახლეობა.





















გურამ კოსტავა

# დაუნით გაკვალილი ბილიკები

საძარბაველოს ფარიკაობაში მდიდარი ტრადიციები აქვს. ტიტულოვან მუშვეტერთა გადღერვას ამშვენებს გურამ კოსტავას სახელი, პირველობა, რომლის ჯილდოებიც არა მარტო ერთ ადამიანს, არამედ ნებისმიერ

სახელმწიფოს დაამშვენებდა: გუნდურში 1960 წლის რომის ოლიმპიური თამაშების მე-3 პრიზიორს ოთხი წლის შემდეგ ტოკიოში პირად პირველობაში ერთგო ბრინჯაოს მედალი. 1961 და 1967 წლების მსოფლიოს ჩემპიონატებზე საკავშირო ნაკრებთან ერთად მოიხვეჭა ოქროები, 1959 და 1966 წლებში – ვერცხლი, ხოლო ერთხელ მესამე იყო. პირად პირველობებშიც ორი ბრინჯაო აქვს მოპოვებული. 1963 წელს დაუნით მოფარევა შორის მსოფლიოში საუკეთესოდ აღიარეს. საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა (1961) ხუთ-ხუთჯერ ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები დაიმსახურა, 1960 წელს კი საკავშირო თასს დაუფლა.

1953 წელს სმოლენსკში გაბუკა საკავშირო პირველობაზე ვიასპარეხით, — მიტხრა ფარიკაობაში მსოფლიოს ჩემპიონმა იური ოსიპოვმა. — 17 ნაკრებს შორის გუნდური ჩემპიონობა არავის დავუთმეთ, პირადი შეჯიბრება რაპირაში კი გურამ კოსტავამ მოიგო. მას შემდეგ კვარცხლბეკს გაუშინაურდა. ადრეულ ასაკში მინვიეს საკავშირო ნაკრებში და არც შემცდარა — დაუნაში საერთაშორისო სარბიელზე მისი მიღწევები დღემდე უნიკალურია...

## ჩაკორღები და გარბნებუნი ღარბაში

1961 წელს იტალიის ქალაქ ტურინში მოფარევათა გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართა. გურამ კოსტავამ პირველი ორთაბრძოლა მოულოდნელად ლიბანელ მეტოქესთან წააგო. საკუთარ თავზე გაბრაზებული ქართველმა მუშვეტერმა მომდევნო მონინაღაღდეგები არ დაინდო — ზედიზედ 21 გამარჯვება იწვიოდა, მათ შორის ფინალში ფრანგებთან. არადა, გუნდური ოქროსთვის გადამწყვეტი დუელი სამფეროვნებთან ფრედ — 8:8 დამთავრდა და მეტი ჩხვლეტების უპირატესობით საბჭოთა ნაკრები გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. ეს წარმატება, ცხადია, უპირველესად გურამ კოსტავას დამსახურება იყო ისევე, როგორც 1960 წელს რომის ოლიმპიადაზე მოპოვებული ბრინჯაო. დაუნით მოფარევათა კავშირის ნაკრები მარადიულ ქალაქში გამართულ ოლიმპიურ თამაშებზე ფავორიტად ჩავიდა. ზედიზედ ლიბანის, შვეიცარიის, იაპონიისა და გერმანიის წარმომადგენლებს კი სძლია, მაგრამ ნახევარფინალში იტალიასთან დამარცხდა 6:9. არადა, ამ დაპირისპირებისას ქართველი მუშვეტერი იტალიელთა კერძო ჯანლუიჯი საკაროსაც შეხვდა. თავიდან მასპინძელი აქტიურობდა და 3:1 დანინაურდა. აპენინელს მიზნის მისაღწევად ორი ჩხვლეტა და რჩებოდა, მაგრამ ვერენია საწადელს — ქართველმა სპორტსმენმა ზედიზედ ოთხი ქულა აართავა მეტოქეს და მასთან ერთად აღრიალებული დარბაზიც გაოგნებული დატოვა...

მესამე ადგილისთვის ერთმანეთთან ურთიერთობას უნგრეთისა და სსრკ-ს გუნდები არკვევდნენ. პაეკობა საბჭოელებმა 9:5 მოიგეს და ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრეს. ლომის წილი აქაც ქართველმა მუშვეტერმა დაიდო — ოთხივე მადაიარს აჯობა.

**— და მაინც, რატომ ფარიკაობა? —** ვკითხე ტიტულოვან ვეტერანს.  
— სრულიად შემთხვევით: მე-6 კლასში ვიყავი, ტრიფონ მესხმა ფარიკაობაში ვარჯიში რომ შემოგვთავაზა. გვეამაყებოდა მუშვეტერობა. დღე და ღამეს ვასწავლებდი, ამიტომაც ჩვენი თაობიდან საერთაშორისო სარბიელზე ზევრმა მოფარევათა ისახელა თავი. ნუგზარ ასათიანმა ოლიმპიური თამაშები მოიგო, იური ოსიპოვი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, მორის სახვადემ რამდენჯერმე საკავშირო ჩემპიონატში გაიმარჯვა. 1960 წელს მოფარევათა საკავშირო თასის გამარჯვებულსა და ოლიმპიურ მოფარევათა საკავშირო თასის გამარჯვებულს სპორტის საბჭომ დააჯილდოვდა.

ტოვით: დაუნაში მე ვიყავი პირველი, რაპირაში იური ოსიპოვი მიაღწია წარმატებას, ხმალიში თასი ნუგზარ ასათიანს ერგო.

## დაპარბული ზამბარ და მძრო

**— თქვენი ჯილდოების კოლექციას ორი ოლიმპიური ბრინჯაო ამშვენებს. ერთ-ერთი 1964 წელს ტოკიო თამაშებზე მოიპოვეთ...**

— ეკ, მაშინ იარაღმა დამაღალატა, თორემ, შესაძლოა, კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზეც აღმოვჩენილიყავი. მედლებისთვის ბრძოლაში 64 მოფარევათა ჩაება. პირველ რაუნდში შვიდიდან ხუთი შეხვედრა მოვიგე და მეოთხედფინალში გავედი, სადაც ხუთიდან სამი გამარჯვება საკმარისი აღმოჩნდა, ნახევარფინალში მეფარევა. იქ კი სა-



მარცხნიდან: გურამ კოსტავა, იური ოსიპოვი, არჩილ გოგელია. ავტორის ფოტო

მივე მეტოქე დავამარცხე. ფინალურ კვარტეტში უკვე მელოდნენ ჩემი უკრაინელი თანაგუნდელი გრიგორი კრისი, იტალიელი ჯანლუიჯი საკარო და 1958 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, დიდი ბრიტანეთის ნაკრების შემადგენლობაში რომის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი ბილ ჰოსკინსი.

პირველ ორთაბრძოლაში კრისს 5:2 ვძლიე, უკრაინელი მერე ჰოსკინსს დაუზავდა — 5:5, საკაროს კი 5:1 მოუგო. იტალიელს ბრიტანელმაც აჯობა (5:4). ბილმა მეც დამამარცხა (5:3) და გადამწყვეტი ორთაბრძოლისთვის ემზადებოდა. მისი მეტოქე ჩემი და საკაროს შეხვედრას უნდა დაესახელებინა. თავიდანვე 4:2 დავნინაურდი. იტალიელმა ანგარში გაათანაბრა. ბოლო იერიში მე წამოვიწყე და მეტოქეს ჩხვლეტაც მივაყენე. აპენინელმა დამარცხების ნიშნად ხელიც კი ასწია, მაგრამ არბიტრებმა გვანიშნეს, ბრძოლა განაგრძეთ, რადგან აპარატზე ნათურა არ აინთო. ცხადია, აველიდი, რაც ძვირად დამიჯდა — 4:5 ნავაგე. ორთაბრძოლის დამთავრების შემდეგ შევაშინეთ, რომ ჩემი დაუნის წვერზე დიდი ზამბარა მომძვრაღიყო და აპარატზე ჩხვლეტა ამის გამო არ დააფიქსირა. ასე დავკარგე ოლიმპიური ოქრო. ბრინჯაოსთვის პაეკობაში საკაროს მშრალი ანგარიშით — 5:0 ვძლიე.

**— ოლიმპიურ თამაშებში თქვენ ორჯერ იასპარეხეთ...**  
— მესამედაც უნდა გამოცხადიყავი მენიკოში 1968 წელს, მაგრამ შურიანობისა და ინტრიგების მსხვერპლი გავხდი. იმ წელიწადს ტალინში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში ვერცხლის მედალი მხვდა, ამის მიუხედავად, ხუთჯერე ნაკრებში ადგილი დაბეჭდული მქონდა, მაგრამ გაუთვალისწინებელი რამ მოხდა: ქართველი მოფარევათა ჩემპიონი მუშვეტერი საერთაშორისო ტურნირზე გავმეზავრეთ და წახკაძორში საკავშირო ნაკრების შეკრებაზე ჩასვლა დავაგვიანე, რის გამოც ნაკრების კარი მომიხურეს.

**— 10 წელიწადი საკავშირო კავშირის ნაკრების წევრი იყავით. 1968 წელს აქტიურ სპორტს ნაადრევად ხომ არ ჩამოშორდით?**

— არაერთხელ მთხოვეს, ფარიკაობისთვის თავი არ დამენებინა, მაგრამ უსამართლობამ ძალიან დამწყვიტა გული. რომ დავრჩენილიყავი, როგორ უნდა შევგუებოდი ნაკრების ხელმძღვანელობას ან იმ მოფარევათა წევრებს, ოლიმპიურ გუნდში ადგილის შესანარჩუნებლად წახკაძორში „მოუ“ რომ მომიწყვეს?! დიდი სპორტიდან კაცურად დასვლა ვარჩიე...

სახელოვან მუშვეტერს (რომლისთვისაც, მართალია, წლებს თავისი კვალი დაუმჩნევია, მაგრამ მაინც მხნედ გამოიყურება) დღეს ჩვენი ახალგაზრდების წარმატებები ახარებს — იმედიანად შეჰყურებს საქართველოს ფარიკაობის მომავალს და მოზარდებს გამოცდილებას უზიარებს.

**ვაჟა დანიელი.**



## ეპიკა, ესპანია!

**იშო დრო, როცა ხანდაზმულთა მსოფლიო რუკაზე საქართველო საგანგებოდ იყო აღნიშნული, თუმცა, რაიმე განსაკუთრებული მაჩვენებლები ამ მხრივ არ ყოფილა. პირველობას, როგორც წესი, იაპონიის კუნძულ ოკინავას ანიჭებდნენ, სადაც 100 ათას მოსახლეზე 100 წლის ასაკს გადაცილებული 76 კაცი იყო.**

ბოლო დროს აღმოჩნდა, რომ იაპონურ ოუკინავას ტოლს არ უდებს ესპანეთის გალისიაში პროვინცია ორენსე, სადაც ყოველასი ათას კაცში 75 ასწლოვანი მოხუცია. მეტიც: იქაურ პატარა დაბა ტერა-დე-სელანოვაში, ასევე ასიათასიან კონტინგენტზე, საუკუნოვანი იუბილე უკვე 252 კაცს აქვს ნაზეიმები!

ზოგადად კი, ხანდაზმულთა საშუალო ასაკის მხრივ, იაპონიისა და შვეიცარიის შემდეგ ესპანეთი მსოფლიოში მესამე ადგილზეა — იქ ეს მაჩვენებელი 83,1 წელია. 2040 წლისთვის კი ესპანელები დედადინაზე ყველაზე ხანდაზმულ ერად გადაიქცევიან, რომელთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 85,8 წელს გაუტოლდება. მომდევნო ადგილებზე კი იქნებიან იაპონია, სინგაპური, შვეიცარია და პორტუგალია.

მეტიც: ამერიკელ გერონტოლოგთა პროგნოზით, 2050 წლისთვის ესპანელი მამაკაცები საშუალოდ 86,9, ქალები კი, სულაღ 90,7 წელს იცოცხლებენ!

არადა, ბენდიერების მსოფლიო რეიტინგში ესპანელები, მონინავე ქვეყნების მეოთხე ათეულში არიან, ხოლო ლიდერობენ ფინელები, ტაივანელები და ნორვეგიელები.

სპეციალისტების აზრით, ესპანელთა დღეგრძელობის მთავარი საიდუმლოა საქმელი, კერძოდ კი განთქმული ხმელთაშუაზღვისპირული დიეტა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რაციონი უნდა შეიცავდეს ბევრ ახალ ბოსტნეულსა და ხილს, ნიგოზს, თხილსა და ნუშს, ჩირს, ზეთუნის ზეთს, თევზულს, ასევე მშრალ თეთრ ლენოს. კვების ეს რაციონი ხელს უწყობს გულსისხლძარღვთა დაავადებათა თავიდან არიდებას, აგრეთვე სისხლში შაქრისა და ქოლესტერინის ოდენობის ნორმალურ შემცველობას. ტყუილად როდი შეიტანა ის იუნესკომ კაცობრიობის კულტურის არამატერიალური მემკვიდრეობის ნუსხაში.

## ბირთვული ზამთრის ათი წელიწადი

**რუსეთისა და აშშ-ს შორის ატომური ომის შემთხვევაში მოვლენათა განვითარების მოდელირება მოახდინეს ნიუ-ჯერსის რათბერი უნივერსიტეტის კლამატოლოგიური ჯგუფის წევრებმა.**

მეცნიერები მიზნად არ ისახავდნენ საომარ მოქმედებათა შედეგად მსხვერპლის ოდენობისა და ნგრევათა მასშტაბის გარკვევას, მათი მიზანი ბირთვული ომის ეკოლოგიური შედეგების განჭვრეტა იყო. ცნობილია, რომ ბირთვული იარაღის მთავარ საშიშრეს საშიშროებას და სამრეწველო ცენტრები წარმოადგენენ, რომლებიც დიდ ქალაქებში არიან განთავსებული. იმის გათვალისწინებით, რომ ამ რაიონებში უამრავი საწვავია, ატომური ენერჯის 35 პროცენტი კი სითბური სახით გამოიყოფა! ეს ქალაქები მთლიანად დაინგება. შემდეგ ცეცხლი ტყეებს მოედება და რამდენიმე თვის მანძილზე იმჟინგარება, რა დროსაც ატმოსფეროში 150 მილიონამდე ჭვარტილი გაიფრქვევა, რომლის ნაწილაკები სტრატოსფეროში აიჭრება და დედადინის ატმოსფეროს მზის სხივებისთვის შეუღწევადს წლების განმავლობაში გახდის. ჭვარტლის ფარდეს დაშლა დაახლოებით შვიდი წლის შემდეგ დაიწყება, რის შემდეგაც დედადინის ზედაპირზე ნორმალური განათებულობის აღდგენას კიდევ სამი წელი დასჭირდება.

**ბირთვული ომის დროს პლანეტის საშუალო წლიური ტემპერატურა ცელსიუსის შკალის 9 გრადუსით დაინგეს, რაც იმას ნიშნავს, რომ სოფლის მეურნეობის წარმოება შეუძლებელი იქნება — ეს კი საყოველთაო შიმშილობას გამოიწვევს.**

**პროგნოზის თანახმად, ბირთვული ზამთრის შემთხვევაში, ხუთი წლის შემდეგ, უკეთეს შემთხვევაში, დედადინის მოსახლეობის მხოლოდ 10 პროცენტი გადაარჩება.**

ამდენად, მეცნიერთა დასკვნა ასეთია: **სრულმასშტაბიანი ბირთვული თავდასხმა მისი წამომწყები ქვეყნისთვის თვითმკვლელობის ტოლფასი იქნება, რომელსაც კაცობრიობის უმეტეს ნაწილსაც წაიყოლებს.** ამიტომაც, აუცილებელია გადამწყვეტილებათა მიმღებ პირებს ყოველივე ეს სრულად ჰქონდეთ შეგნებული.

მოამზადა ოთარ ტურაბულიძემ



# ხართ თუ არა კომპენსაციის მიმღებთა რეესტრში?

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ახალი პროგრამული უზრუნველყოფა (<http://www.rs.ge/kompensacia>) მომხმარებელს შესაძლებლობას მისცემს, თავად გადაამოწმოს კომპენსაციის მიმღებთა რეესტრი, – ამის შესახებ ინფორმაციას შემოსავლების სამსახურის პრესსამსახური ავრცელებს.

მათივე ცნობით, დაინტერესებული პირი საძიებო სისტემაში პირადი ნომრისა და ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდის შეყვანის შემდეგ მარტივად გადაამოწმებს, უკვე წარმოადგინა თუ არა მონაცემები დასაქმებულმა.

გადაამოწმების პროცესის დასრულების შემდეგ, დაპირავებულის მიერ განცხადებაში მითითებული მობილური ნომერზე პირს მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით მიუწვავს ინფორმაცია, არის თუ არა კომპენსაციის მიმღებთა რეესტრში. როგორც უწყებაში განმარტავენ, აღნიშნული სერვისით მომხმარებელი შეძლებს, იმ შემთხვევაში დაამყაროს კომპენსაცია დასაქმებულთან, თუ დაადგინებს, რომ მისი მონაცემები ჯერ კიდევ არ არის წარდგენილი შემოსავლების სამსახურში კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, კომპენსაციის მისაღებად.


„შეგახსენებთ, რომ დასაქმებულმა კომპანიებმა, ყოველი თვის 15 რიცხვის ჩათვლით, ექვსი თვის განმავლობაში, უნდა წარმოადგინონ იმ დაქირავებულ პირთა სია, რომლებიც დაქირავებით საქმიანობას ეწეოდნენ 2020 წლის პირველი სამი თვიდან (იანვარი, თებერვალი, მარტი) რომელიმე ერთ თვეს მაინც, იღებდნენ ხელფასს და საგანგებო მდგომარეობის პერიოდში შეუწყდათ ან შეუჩერდათ შრომითი ურთიერთობა. დაპირავებულს განაცხადის წარუდგენლობის ან არასწორად წარუდგენის შემთხვევაში, ეძლევა დამატებით ხუთი დღე, რათა დააზუსტოს

და წარმოადგინოს ახალი განაცხადი. შესაბამისად, ეს ვადა 20 რიცხვის ჩათვლით ექნება.

დამსაქმებელი კომპანიების მიერ კომპენსაციის გაცემისთვის საჭირო ელექტრონული განაცხადის ფორმა და შევსების წესი შეგიძლიათ, იხილოთ შემდეგ ბმულებზე: <http://eservices.rs.ge/ServiceRequestNew.aspx?p=751>; [https://www.rs.ge/common/get\\_doc.aspx?id=10898](https://www.rs.ge/common/get_doc.aspx?id=10898). დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ დაუკავშირდეთ შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო სატელეფონო ცენტრს – 2 299 299 ან მოგვწეროთ ელექტრონულ მისამართზე: [info@rs.ge](mailto:info@rs.ge).

აქვე გაცნობებთ, რომ კომპენსაციების მიმღებთა თვითდასაქმებულები პირები უნდა ეწვიონ **ჯანდაცვის სამინისტროს ვებგვერდს, სადაც სარეგისტრაციო პორტალის (<http://compensation.moh.gov.ge/>) მეშვეობით პირველი ივლისამდე გაივლიან რეგისტრაციას. **ჯანდაცვის სამინისტროს ცხელი ხაზის ნომერი 1505.****

პორტალზე რეგისტრაციის ვალდებულება გააჩნიათ მხოლოდ თვითდასაქმებულებს. დაქირავებით დასაქმებულებს აღნიშნული რეგისტრაციის გავლის ვალდებულება არ აქვთ, – აღნიშნული შემოსავლების სამსახურის ინფორმაციაში.



**მართიანმა** ეროვნულმა გამოცდებმა თავის დროზე დადებითი როლი შეასრულა – უმაღლეს სასწავლებლებში ადვოკატებისა და კორუფციის დაძლევის უმთავრესი მექანიზმი გახდა. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. დღეს უმაღლესი სასწავლებლების მიერ შემოთავაზებული ადგილები ჯამში აბიტურიენტთა რაოდენობას თითქმის არ ჩამორჩება, ხოლო ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში, – აჭარბებს კიდევ მას.

აბიტურიენტების მოზიდვაზე ორიენტაციის გამო, კომპეტენციების დონის დანევამ, ერთიანი ეროვნული გამოცდები ფორმალურ ბარიერად და რაღაც ერთიან ეროვნულ სისულელედ აქცია. თვით ცხოვრებამ მოამწიფა საკითხი, უმაღლეს სასწავლებლებში მიღება უნდა იყოს თავისუფალი – ყოველი კონკრეტული უმაღლესი სასწავლებლის მიერ დადგენილი კრიტერიუმებით, არ უნდა იყოს შეზღუდული უმაღლესი სასწავლებლები მისაღები კონტიგენტის რაოდენობით, თუ ისინი აკმაყოფილებენ უმაღლესი განათლების სერვისის მინორების სახელმწიფო სტანდარტებს.

ასეთ შემთხვევაში, **ჯერ ერთი**, კონკურენცია აიძულებს ბევრ უმაღლეს სასწავლებელს გამსხვილებასა და გაუმჯობესებას. მეორე, იმის მიხედვით თუ რა კრიტერიუმებით განახორციელებს ესა თუ ის უმაღლესი სასწავლებელი მიღებას, მოხდება მათი ხარისხობრივი დიფერენ-

# ერთიანი ეროვნული გამოცდები ერთიანი ეროვნული სისულელეა!

ცირება და წარმოშობა ელიტური (სადაც მაღალი იქნება შერჩევის კრიტერიუმები) და რიგითი სასწავლებლები. შრომის ბაზარს ექნება სწორი ინფორმაცია კადრების შერჩევის დროს. შედეგად, საშუალო სკოლის შეფასებას მიეცემა მნიშვნელობა და ამაღლდება სკოლის ავტორიტეტი.

საქართველო გადადგამს ნაბიჯს ევროპისკენ – მოახდენს განათლების სისტემაში ერთი რგოლის დესოვიეტიზაციას და ქვეყანა, ხალხი განათავისუფლებს ერთი დიდი სისულელისგან, ბავშვები – ფუჭი ნერვიულობისგან, მშობლები და სახელმწიფო – ხარჯებისგან. ამ საქმიდან მიღებული ეკონომია სასარგებლო იქნება სწავლების დისტანციური ტექნოლოგიებისა და ფორმების განვითარებაზე წარიმართოს.

ერთიანი ეროვნული გამოცდები არავითარ პირდაპირ, მით უმეტეს, დადებით, კორელაციაში არაა არც საშუალო სკოლაში და არც შემდგომ, უმაღლესი განათლების პროცესთან და ის უმტივირებულად შეიძლება გაუქმდეს უკვე ახლავე, 2020 წლისთვის!

**მიხეილ ჯიჯუბი,**  
პროფესორი.



გაიგეთ ხართ თუ არა კომპენსაციის მიმღებთა რეესტრში

## ალ-ბარა შიშანი საქართველოშია...

თბილისში უკრაინიდან, ტერორიზმის ბრალდებით, ინტერპოლის ნიშნული ცირკულარით ძებნილი, საქართველოს მოქალაქე ცეზარ ტონოსაშვილის (იგივე ალ-ბარა შიშანი) ელსტრადირება განხორციელდა. მისთვის წაყენებული ბრალდებები 15 წლამდე ვადით პატიმრობას ითვალისწინებს.

ცეზარ ტონოსაშვილი საქართველოდან სირიის არაბთა რესპუბლიკაში გაემგზავრა და 2015 წლიდან ტერორისტული ორგანიზაცია „ილაშური სახელმწიფოს“ რიგებში განვერიანდა, სადაც აქტიურად მონაწილეობდა ტერორისტულ საქმიანობაში. მას ახლო ურთიერთობა აკავშირებდა ტერორისტული ორგანიზაცია „ილაშური სახელმწიფოს“ ლიდერებთან – თარხან ბათირაშვილთან, ისლამ ატაბიევთან და ახმედ ჩატაევთან.

# შპს „ლილო-მოლი“

ბრძანება №318  
26.04.2020

ახალი ტიპის კორონავირუსის COVID-19 მსოფლიო მასშტაბით გავრცელებასთან და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ პანდემიის გამოცხადებასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობის მიერ დაწესებული შეზღუდვების და გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად, კომპანიის გენერალური დირექტორის 2020 წლის 18 მარტის №313 ბრძანებით, სავაჭრო ცენტრის პარალიზების თავიდან ასაცილებლად და სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად, შექმნილი ობიექტური გარემოებების შესაბამისი ადეკვატური ზომის სახით, 2020 წლის 19 მარტიდან დროებით (კონსერვაციის პერიოდი) დაკორექტირდა საცალო-საბითუმო რიგებში არსებული მოვაჭრების ყოველთვიური საიჯარო ქირის გადასახადი და განისაზღვრა 2020 წლის 18 მარტის მდგომარეობით არსებული ნიშნულის (ამ ბრძანების მიზნებისთვის შემდგომში სტანდარტული ქირა) საიჯარო ქირის გადასახადის 30%-ის ოდენობით. აღნიშნული ბრძანებით დადგენილი საიჯარო ქირის გადასახდის დროებით შედგება პირობებს, ქვეყანაში არსებული სავაჭრო მდგომარეობის გამო, მოვაჭრეთათვის ფინანსური ტვირთის კიდევ უფრო შემსუბუქების და კორექტირებული საიჯარო ქირის გადახდის დამატებითი დროებითი შედგენილი მნიშვნელობის სახით გათვალისწინებულ იქნეს შემდგომი შესაძლებლობა. მოვაჭრეს, რომელსაც ობიექტური გარემოებების გამო 2020 წლის აპრილის და მომდევნო თვეებში, რომელებზეც გავრცელებულია სავაჭრო მდგომარეობის რეკომენდაცია, არ ექნება შესაძლებლობა გადაიხადოს დროებითი შედგენილი ტარიფით დადგენილი 30%-იანი საიჯარო ქირა, გადაუვადდეს ქირის გადახდის ვალდებულებები და მიეცეს საშუალება გადაუხადოს საიჯარო ქირის თანხები გადაიხადოს საქართველოს მთავრობის მიერ დაწესებული შეზღუდვების მოხსნის, სავაჭრო ცენტრის გახსნის, მოვაჭრეების სრულ კონტინგენტზე სტანდარტული საიჯარო ქირის ტარიფის დარიცხვის შემდგომ 5 თვის განმავლობაში 2020 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში ქვემოთმიითებული წესის შესაბამისად.

მოვაჭრეს რომელიც ვერ გადაიხდის საიჯარო ქირას გადახდის დროებითი საშედავათო პერიოდის მოქმედების განმავლობაში (საიჯარო ქირის 30%), მიეცეს საშუალება შეასრულოს ვადა მოსული გადახდის ვალდებულებები გადავადება რეჟიმში, კერძოდ ამ პერიოდის დამთავრების შემდგომ 5 (ხუთი) თვის განმავლობაში, ამოქმედებულ სტანდარტულ საიჯარო ტარიფთან ერთად გადავადებული ვალდებულებების სახით გადაიხადოს თანხა სტანდარტული საიჯარო ტარიფის 10%-ის ოდენობით მის მიერ დროებით საშედავათო პერიოდში ყოველ გადაუხადებულ თვეზე. სამართლიანობის და თანასწორობის პრინციპების გათვალისწინებით, იმ მოვაჭრეებმა რომლებმაც

დროებითი საშედავათო – საიჯარო ქირის 30%-იანი რეკომენდაციის ამოქმედებამდე, 2020 წლის მარტის თვეში სტანდარტული ტარიფით სრულად გადაიხადეს საიჯარო თანხები, სავაჭრო ცენტრის გახსნის, მოვაჭრეების სრულ კონტინგენტზე სტანდარტული საიჯარო ქირის ტარიფის დარიცხვის შემდგომ, ნაცვლად სტანდარტული ტარიფის პირველ თვეში გადაიხადონ საიჯარო ქირა სტანდარტული ტარიფის 30%-ის ოდენობით. წინამდებარე ბრძანება საცალო-საბითუმო რიგებში არსებული ყველა მოვაჭრის ინფორმირების მიზნით გამოქვეყნდეს საიჯარო წესით (გამოიკრას სერვის ცენტრში თვალსაჩინო ადგილას, აბივიტოს კომპანიის ვებ-საიტზე). საზოგადოების მოვაჭრეებთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს მოვაჭრეებისათვის წინამდებარე ბრძანების შინაარსის გაცნობა და შესაბამისი ახსნა-განმარტების მიცემა.

კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახურს და სერვის ცენტრს, დაევალოს საიჯარო ქირის გადასახადების გადახდის ერთიანი კომპიუტერულ ბაზაში შესაბამისი კორექტივების შეტანა.

ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს საზოგადოების კომერციულ დირექტორს თ. გამყრელიძეს.

გენერალური დირექტორი


ბ. კვარაცხელია



## ჩირუსის მთა - ახალი მარგალიტი ტურისტებისთვის

მაღალმთიან აჭარას კიდევ ერთი ახალი ტურისტული ლოკაცია შეემატება. ამჯერად ახალი ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნაზე მუშაობა შუახევში, ჩირუსის მთაზე მიმდინარეობს, რომელიც ზღვის დონიდან 2050 მეტრზე, ალპურ ზონაში მდებარეობს. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი პროექტით შუახევის მუნიციპალიტეტში ახალი ტურისტული მიზიდულობის ცენტრის შექმნას გეგმავს.

ჩირუსის მთა აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა, ჯაბა ფუტყარაძემ აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის უფროსთან და შუახევის მერთან ერთად დაათვალიერა. მთავრობის წევრებმა ტერიტორიის ტურისტული პოტენციალი და პროდუქტის განვითარების კონცეფციები განიხილეს. ამ ეტაპზე ჩირუსის მთის ტურისტული განვითარების კონცეფციის დამუშავება მიმდინარეობს, რომლის შემდეგაც ტურისტული პროდუქტის ინფრასტრუქტურული პროექტი, ასევე მისი მართვისა და მენეჯმენტის გეგმა მომზადდება.



## ლგბტ-ს უკრძანებს ნასვლად თურქმენეთის ღკოუს უკრძანებს

თბილისის მერია განმარტავს თურქმენეთის ანტი ლგბტ ფერებში. მერიის ინფორმაციით, ანძას თურქმენეთის ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებით, თურქმენეთის დროშის ფერებში გაანათებს.

„საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, გესურს, განვმარტოთ თბილისის ანძის განათების პრინციპი: სხვადასხვა ორგანიზაცია და უწყება, საელჩოები მიმართავენ მერიას შესაბამისი წერილით, რის საფუძველზეც, ანძის განათება ხდება. კონკრეტულად, 17-18 მაისის განათებაზე შემოსულია რამდენიმე ადგილობრივი ორგანიზაციის და ერთიც — მეგობარი ქვეყნის წერილი. შესაბამისად, ჩვენ ვერ დავარღვევთ ტრადიციას და ვერ გამოვტოვებთ ანძის განათებას თურქმენეთის დროშის ფერებში, მათ ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებით.“

რაც შეეხება მოგვიანებით შემოსული ადგილობრივი ორგანიზაციების წერილებს, მათი იდეური მრავალფეროვნებიდან და მოთხოვნების განსხვავებულობიდან გამომდინარე, მიღებულია ისეთი გადაწყვეტილება, რომლითაც ყველას მიმართ გამოვსაძავთ პატივისცემისა და სოლიდარობის — შემდგომ დღეებში ანძა განათდება თეთრად. ამით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ყველა მოქალაქე არის ერთი მთლიანი და არა მსოფლმხედველობის, ან ცხოვრების წესის მიხედვით დანაწევრებული საზოგადოება. ამ ქვეყანაში ტოლერანტობას ვერას-დროს ჩანაცვლებს შეუწყნარებლობა და ფობიები. ჩვენ ქვეყანაში სამოქალაქო უფლებები და ვალდებულებები ნაწილდება ყველაზე თანაბრად, მათი სექსუალური, ეთნიკური თუ კონფესიური კუთვნილების მიუხედავად“ — ნათქვამია მერიის განცხადებაში. ლგბტ თემმა თავიანთი დღესასწაულის დღე უნდა შეცვალოს, ანა, თურქმენეთი სომეხ ვერ შეცვლის თავისი ეროვნული დღესასწაულის დღეს?

## სლოვენიაში ეპიდემია დასრულდა

სუთშაბატს, სლოვენიის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ქვეყანაში კოვიდ-19-ის ეპიდემია დასრულდა, რითაც ის პირველი ქვეყანა გახდა ევროპაში, რომელმაც ეპიდემიის დასრულება დაადასტურა.

სლოვენიის ხელისუფლების გადაწყვეტილება ეყრდნობა ეპიდემიოლოგიურ სიტუაციას, რომლის მიხედვითაც, ორი კვირის განმავლობაში ყოველდღიურად კო-

რონავირუსის 7-ზე მეტი ახალი შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

„დღეს სლოვენიას აქვს საუკეთესო ეპიდემიოლოგიური სურათი ევროპაში“, — განაცხადა სლოვენიის პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას. ამიერიდან, სლოვენიამ ჩასულ ევროკავშირის მოქალაქეებს აღარ მოუწევს სავალდებულო, მინიმუმ 7-დღიანი კარანტინის გაგვა. თუმცა სავალ-

## საქართველო სიჰაივის ქვეყანა

Washington Post-ის საქართველოზე ვრცელ სტატიას წერს, სადაც ქვეყანას სიჰაივის ქვეყნად უწოდებს. სტატიაში სახელწოდებით „როდესაც საქმე კორონავირუსის საბასუხო ქმედებას ეხება, შესახებ მნიშვნელოვან, შესაძლოა უფრო მცირე ენების შესწავლა დასჭირდეთ“ საუბარია იმაზე, რომ ზოგიერთმა პატარა ქვეყანამ, მათ შორის საქართველომ, ახალი აღიარება მოიპოვა, რადგან მსოფლიო ახლა მათ მიერ კორონავირუსთან ბრძოლაში მიღწეულ წარმატებას აკვირდება.

„მაშინ, როცა მეზობელ რუსეთში ვირუსი მძვინვარებს, საქართველო სიჰაივის ქვეყანაა. ქვეყანას, სადაც 3.750 000-ი ადამიანი ცხოვრობს, 700-ზე ნაკლები დადასტურებული შემთხვევა და მხოლოდ 12 გარდაცვლილი ჰყავს. რამაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისგან შექებაც დაიმსახურა“, — წერს Washington Post-ი.

სტატიაში აღნიშნულია, რომ გატარებული დროულმა ზომებმა, მათ შორის აეროპორტებში ტემპერატურის სკრინინგის იანერის ბოლოს დაწყებამ და საერთაშორისო ფრენებზე შეზღუდვების დროულად დაწესებამ ქვეყანაში ვირუსის გავრცელების შეჩერებას შეუწყო ხელი.

„ინფექციის გავრცელების ტემპის შენელებისა და საქართველოს ტურიზმისთვის ხელახალი გახსნის სამომავლო გეგმების ფონზე, ამერიკაში ქვეყნის ელჩი დავით ბაქრაძე აცხადებს, რომ მისი ოფისი დაინტერესებული ამერიკელებისგან ბიზნის და სამოგზაურო მოთხოვნებს იღებს“, — აღნიშნულია სტატიაში.



## სიჰაივის ახალ ჰქვია

ამერიკელმა გერმანიაში მცხოვრები შეყვარებული სანახავად თავი ფრანკფურტის აეროპორტის დასაღვრად გაასაღა. გერმანიასა და აშშ-ს შორის საჰაერო მიმოსვლა სრულად არ არის შემწყვდარი. გამონაკლისი დაშვებულია გერმანიაში მცხოვრებთათვის და მოქალაქეთა ოჯახის წევრებისთვის.

სწორედ ამით ისარგებლა 20 წლის კაცმა. მან აეროპორტში შემონების თავიდან ასარიდებლად თავი დასაღვრად გაასაღა — ხელში ნაგვის ურნები ეჭირა და სპეციალური შილდები ეცვა. თუმცა ერთ-ერთმა თანამშრომელმა შეამჩნია, რომ მას საჭირო ბეიჯი არ აქვს და კაცი დააკავეს.

სამართალდამცველებთან საუბარში ამერიკელი გამოცხდა, რომ გერმანიაში მცხოვრები შეყვარებულის ნახვის სხვა მეთოდ ვერ მოიფიქრა. ორშაბათს ის აშშ-ში დააბრუნეს. შეყვარებული ნახვა ახალგაზრდამ მაინც ვერ მოახერხა.

## ქარკი ქნა და ქვაზე დაღო..

33 წლის ბრიტანელმა ენტიმ კანტიმ ლატარიაში 1 მილიონი დოლარი მოიგო, რამდენიმე დღით ადრე კი პოლიციელი სიკვდილს გადაარჩინა. კანტი ნყალმომარაგების კომპანიაში მუშაობს, ამიტომ სამსახურში კარანტინის მიუხედავად დადიოდა. ერთ საღამოს, როცა ის სახლში ავტობუსით ბრუნდებოდა, მის გვერდით მჯდომ პოლიციელს გულის შეტევა დაემართა. კანტი სამშველო სამსახურს დაუკავშირდა და მათი ინსტრუქციის მიხედვით პოლიციელს მედიკოსების მოსვლამდე გულის მასაჟს უკეთებდა.



სამართალდამცველმა 5 დღე რეანიმაციაში გაატარა, შემდეგ კი საავადმყოფოდან გაენერა. 5 მაისს კი კანტიმ გაიგო რომ ლატარიაში მოიგო და მილიონერი გახდა. როცა ეს ამბავი გადარჩენილმა პოლიციელმა შეიტყო განაცხადა, რომ კარგ ადამიანებს კარგი კარმა აქვთ.

## საქართველოს რესპუბლიკა

ბ. ჩიქოვასის (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5  
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი  
სპარტაკ ქობულაძე  
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:  
გურამ გომიაშვილი  
599 53-76-16;

ალექს  
ასლანიშვილი  
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი  
მამუკა ვაშაძიძე  
514 33-33-24

გამომცემლობა:  
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“  
599 53-76-16; 599 36-00-35  
შპს „თანადრომმა“-ს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“  
ტ: 599 79-76-79  
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორ პრესში“  
რკინიგზის ჩიხი №20  
ს.ა.გ. (უაკ) 070.4(479.22)  
ს-323



ავტორთა საზურაოდლი!  
რედაქციის მიერ შეუკეთებელი მასალები დანიშნავდება ავტორთა ხარჯით.  
ავტორთა მოსაზრებები, შესაქოება, მუდამ არ ემთხვევოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აბეზან ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“  
უენი გაზეთია,  
აუსილუბლად  
გამოიწერე, რასაც  
აქ წაიკითხავ,  
სხვაგან ვერ ნახავ!

<p><b>უსტორიი ვალუტის კარსი:</b>                  აუზ ღოღარი - 3.2005; პირი - 3.4594;                  ბრიტანული პირიანა სტატიონი - 3.9040;                  100 რუბლი - 4.3481; თურქული ლირა - 0.4627;                  ანკარაპირანი მანათი - 1.8776;                  1000 სომხური ღრამი - 6.5719.</p>	<p><b>აპირი 18 მაისისთვის</b></p> <p>აღმოსავალი საქართველო:</p> <p>ბარი - ლამი +9, დღე +27                  მთიანი რეგიონი - ლამი +4, დღე +24                  დასავალი საქართველო:</p> <p>ბარი - ლამი +10, დღე +26                  მთიანი რეგიონი - ლამი +6, დღე +23                  თბილისი: ლამი +13, დღე +26</p>	<p><b>დაგვიკავით, მოგვწერათ:</b>                  ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84                  ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru                  და sakresp@top.ge                  ვებ-გვერდი: www.sakresp.ge</p>
--	--	---